F343
1995



დეკემბერი 1995 წ.

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

# დილა

# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხური პოეზია



### მოწვევა სწავლაზედ

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო;
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო;
გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო.



* * *

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.



* * *

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.

* * *

ნეტამც არ დაგძინებოდა
ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა,
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევიდეთ ღვთის სახლში

## რევაზ თვარაძე

ალბათ ყოველ თქვენგანს სმენია სამრეკლოდან ზარების რეკვა, ანუ, როგორც ითქმის კიდევ, ზარების დარისხება. სამრეკლო ეკლესიის გვერდით მდგარი მომცრო ნაგებობაა. შიგ სხვადასხვა ზომის ზარები ჰკიდია და ლოცვის დაწყების წინ იმ ზარებს ჩამორეკავს მნათე – მორწმუნეებს მოუწოდებს ტაძარში შესაყრელად. მოდი, ჩვენც მივყვეთ ამ ხმაზე ტაძრისაკენ დაძრულ ხალხს, მასთან ერთად შევიდეთ ღვთის სახლში.

ტაძარი და მისი ყელყარყარა გუმბათი გარედან ბევრჯერ დაგვინახავს. ტაძარში რომ შევალთ, გუმბათის შიდა მხარეც მაღლა აგვახედებს, გინდაც ცისთვის მიგვეპყროს მზერა. მართლაც ცის კამარას არის მიმსგავსებული გუმბათი და ამნაირი შესახელაობა სწორედ იმიტომ აქვს, რომ ზეცა გამოხატოს – ღმერთის საუფლო თვალშეუდგამი სიმაღლე.

გუმბათის გარდა მრავალი სხვა რამეც მიგვანიშნებს, რომ ჩვეულებრივ სახლში კი არ ვიმყოფებით, არამედ ღვთის სახლში.

ტაძარში შესვლისთანავე რაღაც სხვაგვარი ნათელი მოგვეფინება. ამ ნათელს იქ მოლიცლიცე აურაცხელი სანთელი გამოსცემს. ხატის წინ ანთებული სანთელი შესაძლოა თქვენს ოჯახშიც გენახოთ, მაგრამ ეკლესიაში მართლაც აურაცხელი სანთელი პარპალებს მომხიბვლელად. სანთელი ღვთაებრივ ნათელს და სიწმინდეს გამოხატავს. სხვათა შორის, ამიტომაც არის, რომ ეკლესიაში ცვილის ან, როგორც ითქმის ხოლმე, თაფლის სანთელი უნდა იხმარებოდეს და არა მაღაზიაში ნაყიდი ქონის სანთლები. თაფლის სანთელს ალიც და სურნელიც სხვაგვარი აქვს.

სანთლის ჩასამაგრებელ ოქროსფერ ჭურჭელს შანდალი ჰქვია. ზოგნი შანდალს და კანდელს ვერ ანსხვავებენ. კანდელი არის ვერცხლის ან ოქროს ჭურჭელი, რაშიც წმინდა ზეთი ასხია და ისიც სანთელივით იწვის ტაძარში.

ტაძარში რომ მივიხედ-მოვიხედავთ, შევნიშნავთ, რომ ის აურაცხელი სანთელი უწესრიგოდ კი არ არის მიმოფანტული, ხატების წინაშე ანთია. ხატზე, ჩვეულებრივ, გამოსახულია იესო ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი, ანგელოზი, რომელიმე წმინდანი, მაგალითად, წმინდა გიორგი ან წმინდა ნინო. ხატები იმიტომ იქმნება, რომ მათი დახმარებით უკეთ წარმოვიდგინოთ ღმერთი, ანგელოზი თუ წმინდანი.

მალე იმასაც შევნიშნავთ, რომ ეკლესიაში შემოსული მორწმუნენი ხატის წინ სანთელს აანთებენ, პირჯვარს გადაიწერენ და ლოცვას წარმოთქვამენ. პირჯვარის გამომსახველი და მლოცველი ადამიანი ღმერთს ესიტყვება, ღმერთს ეხმიანება, თავის ფიქრებსა და გულისნადებს უმხელს ან რასმე ევედრება.

ჩვენც მივბაძოთ იმ მორწმუნეებს, ხატს მოკრძალებით მივეახლოთ, მის წინაშე სანთელი ავანთოთ, პირჯვარი გადავიწეროთ და უფალს რამე შევთხოვოთ. რა შევთხოვოთ? ის, რაც ყველაზე მეტად გვაფიქრებს, გვაღელვებს თუ გვაწუხებს.

ვთქვათ სახვალიოდ ძნელი გაკვეთილი მაქვს სასწავლი და მეშინია, რომ ვერ მოვასწრებ ხვალამდე. შეიძლება თუ არა, უფალს შევევედრო – ღმერთო, გაკვეთილი კარგად მომამზადებინე და ხუთზე მაპასუხებინეო? – წრფელი გულით ნათქვამ ლოცვას ღმერთი უეჭველად შეისმენს. და დაგვეხმარება კიდეც. მაგრამ იმით კი არ დაგვეხმარება, რომ გაურჯელად, უშრომლად, თამაშ-თამაშით გვასწავლის, ანდა სულაც უსწავლელად ხუთიანს მიგვაღებინებს. იმით დაგვეხმარება, რომ ძნელად სასწავლი გაკვეთილის დასაძლევ მხნეობას შეგვმატებს.

ახლა ერთ საკითხზეც დავფიქრდეთ. ღმერთს ყველა ადამიანი უყვარს, მაგრამ გამორჩეულად ისინი უყვარს, ვინც საკუთარ თავზე მეტად სხვის გამო წუხს და ზრუნავს. ამიტომ უმჯობესი იქნება ღვთის სახლში შესვლისას ჩვენი გასაჭირით კი არ შევაწუხოთ უფალი, სხვისთვის ვილოცოთ.

Г 6299

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ მოვახერხოთ ეს? სულ უბრალოდ: ხატის წინ სანთელს რომ ავანთებთ და პირჯვარს გადავიწერთ, უფალს, ვთქვათ, ამგვარი რამ შევთხოვოთ:

– ღმერთო, მშობლები მიცოცხლე და კარგად მიმყოფე!

ან კიდევ:

– ღმერთო, ჩვენი კლასელი ბიჭი ძალიან ავად რომ არის, იმას შეეწიე, მოარჩინე და ფეხზე დააყენე!

საკუთარ თავზე მეტად სხვათათვის ზრუნვას, მათთვის ლოცვას თუ შევეჩვიეთ, უფრო მეტად დავემსგავსებით ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ღმერთსაც უფრო მეტად ვეყვარებით და ჩვენც უკეთ შევძლებთ ღმერთის სიყვარულსაც და [illegible]ნეთის სიყვარულსაც.



ტაძარში მოსული მორწმუნენი მხოლოდ თავთავისთვის კი არ ლოცულობენ ხატების წინაშე. ზარების დარისხებიდან ცოტა ხნის შემდეგ იწყება წირვა, ანუ მორწმუნეთა ერთობლივი ლოცვა-ვედრება უფლისადმი. წირვას უძღვებიან მღვდელმსახურნი – მღვდელი და დიაკვანი. მათი თავისებური ჩაცმულობა, სასულიერო პირთა სამოსელი ერისკაცთა ტანსაცმელისაგან განსხვავდება. ამას თავისი დანიშნულება აქვს, რაღაცის ნიშანია, რაღაცას გამოხატავს. რას გამოხატავს? ამ კითხვის პასუხს შემდგომ შევიტყობთ. ამთავითვე კი ის უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთის სახლში ყველაფერი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის გამომხატველია, რაღაცის ნიშანია, შემთხვევით არაფერი არის აგებული, ამა თუ იმ ადგილას მოთავსებული, არც არაფერი ხდება შემთხვევით.

მაგალითად, თუ კარგად დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ტაძარში აღმოსავლეთის მხარეს არის საკურთხეველი, რომელიც ღვთის სამყოფს გამოხატავს. საკურთხეველი შუა ტაძრიდან, იმ ვრცელი ადგილიდან, სადაც მლოცველნი დგანან, გამოყოფილია კანკელით. ეს არის ხატებით მორთული ხის ან ქვის კედელი, ლამაზი სანახავი. კანკელის წინ ამაღლებულ ადგილს ამბიონი ეწოდება. იქ მდგარი ღვითსმსახური სახარებას კითხულობს ან ქადაგებას წარმოთქვამს.

წირვის დროს მღვდელს ხელთ უპყრია საცეცხლური ანუ სასაკმევლე – ოთხ ძეწკვზე დაკიდებული ვერცხლისფერი ჭურჭელი, რომელშიც ნაკვერჩხალი ღვივის და რომლიდანაც საამო სურნელი იკმევა. ეს ჭურჭელი გამოხატავს ღვთისმშობლის სხეულს, მასში მღვივანი ნაკვერჩხალი – ჩვილი იესო ქრისტეს ყოფნას ღვთისმშობლის სხეულში.

ღვთის სახლში პირველი შესვლისას, ჩვენს ყურადღებას ალბათ ისიც მიიპყრობს, რომ ტაძრის კედლები, გარდა ხატებისა, დამშვენებულია კიდევ ნახატებით – ფრესკებით, რომლებიც მოგვითხრობენ იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების,

ღვთისმშობლის, წმინდანების ცხოვრებას, გადმოგვცემენ იმ ამბებს, საღვთო წიგნში – „ბიბლიაში“ რომ არის აღწერილი.

კიდევ რა მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას? კიდევ ის, რომ სმენას გვიტკბობს თითქოსდა ზეციური ხმები, რომლებსაც მგალობლები გამოსცემენ. საეკლესიო გალობა ტაძარში მუდამ ისმის წირვის დროს.

ეს ყოველივე ერთად – ცად ატყორცნილი დიდებული გუმბათი, ხატებითა და ფრესკებით დამშვენებული ტაძრის კედლები, სანთლებისა და ზეთის ნათელი, გალობის ხმები, საკმევლის სურნელი, მლოცველთა მშვიდი და რწმენით გაბრწყინებული სახეები, ღვთისმსახურთა მოქმედება და ქადაგება – ეს ყველაფერი დაგვავიწყებს ათასგვარი შფოთითა და საზრუნავით დატვირთულ ყოველდღიურ ცხოვრებას და რაღაც ისეთს გვაგრძნობინებს, რაც მანამდე არ განგვიცდია.

ტაძარში ყოფნისას ჩვენ უფალს მივუახლოვდით.



## საყოველდღეო ლოცვანი

აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩემო, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალმოწყალე.

### ლოცვა სწავლის დაწყების წინ

ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმინდისა შენისა, მომნიჭებელი გულის-ხმისყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთასა, რათა ჩვენ, ყურადმღებელნი გარდმოცემულის ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.

### ლოცვა შემდგომ სწავლისა

გმადლობ, შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს მყავ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვის სწავლისა. აკურთხენ ჩვენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა, და მოგვეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შევუდგეთ სწავლასა ამას, ამინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




მხატვარი თამაზ ხუციშვილი

### გრიგოლ აბაშიძე

# მარიამი

მებრალება მარიამი,
ცხოვრება აქვს რთულზე რთული,
თამაშისთვის დრო არ რჩება,
სწავლით არის სულ გართული.
სადილობას ძლივს მოასწრებს,
სკოლის შემდეგ შინ მოსული,
ემახიან — გეწყებაო
გაკვეთილი ინგლისურის.
სხვები თოვლზე სრიალებენ,
ცივითა და უცივაოდ...
მას კი ხელში ნოტებს სჩრიან,
ივარჯიშე მუსიკაო.
რა ქნას, როგორ უღალატოს
მომღერალთა გუნდის ნორჩებს,
სიმღერაშიც, ცეკვაშიაც
ცდილობს ტოლებს არ ჩამორჩეს.
საშინაო დავალებებს
თავს ძლივს ართმევს მოთმინებით,
ბაღში გავლა ენატრება,
ენატრება თოჯინები.
სხვადასხვა წრეს ვერ გააცდენს,
დროზე რეკავს სკოლის ზარიც...
თუ ყველაფერს თავის დრო აქვს,
თამაშის დრო როდის არი?!
თუ ბავშვობა ცხოვრებაში
სანატრელი არის წამი,
რატომ ართმევთ იმ ბავშვობას,
რად დაჩაგრეთ მარიამი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ასლამაზიშვილი

# ნუციკო და კუტიპურა

(ზღაპარი)

ერთხელ ბებიამ თავის პატარა შვილიშვილს ნუციკოს უთხრა: პური უნდა გამოვაცხო, მომეხმარეო.

ნუციკო ყოჩაღი, დაუზარელი გოგონა იყო. იმან და ბებიამ ვარცლში ფქვილი გაცრეს, ცომი მოზილეს და თონეც გაახურეს.

ბებიამ თონეში მკლავის სიგრძე შოთები და ნუციკოსათვის ერთი ცალი კვერი ჩააკრა.

– ბებია, მომეცი ცოტა ცომი, მეც მინდა კვერი გამოვაცხოო, – სთხოვა ნუციკომ მოხუცს.

ზილა ცომის გუნდა ნუციკომ, ზილა და კვერის მაგიერ თოჯინა-ბიჭი გამოძერწა.

მეტად სასაცილო თოჯინა-ბიჭი გამოვიდა. მუთაქასავით მრგვალ ტანზე ცომის ხელები და ფეხები ჩურჩხელებივით ეკიდა. წელში თასმასავით იღვედებოდა. რბილი გოდორა თავი აქეთ-იქით უვარდებოდა, ფეხზე დგომა ხომ სულ არ შეეძლო.

ნუციკოს ცომის თოჯინა არ მოეწონა.

– ეხ, რა დონდლო ვინმეა! – თქვა და შორს მოისროლა.

ცომის თოჯინა-ბიჭი ჰაერში რამდენჯერმე ამოტრიალდა და ძეძვის ღობეზე ჩვარივით გადაეკიდა.

– უი, დამიდგეს თვალები, ეგ რა ჰქენი, გოგო! გინდა ცომი გადაგიგდია და გინდ პური! – შესძახა ბებიამ. თან გაიხედ-გამოიხედა, ვინმემ თვალი ხომ არ შეასწრო ნუციკოს, საქციელს არ მოუწონებსო.

კიდევ კარგი, არავის დაუნახავს.

ბებიამ ცომის თოჯინა-ბიჭი ღობიდან აიღო, ვარცლის თავზე გაასწორ-გამოასწორა და თონეში მინავლებულ ნაკვერჩხლებზე გამოსაცხობად დადო. მერე ნუციკოს უთხრა:

– თვალი გეჭიროს, პურები არ დაიწვას, მალე



მოვალო.

ცომის თოჯინა-ბიჭი ნაკვერჩხლებზე აფუვდა, მკლავები და ფეხები ბოცო-ბოცო გაუხდა, ტანი და თავი დაუმრგვალდა, გაულამაზდა, თაფლისფერი დაედო და დაებრაწა. თონიდან გამომცხვარი პურის სასიამოვნო სუნი ამოვიდა, ნუციკოს მოშივდა, იფიქრა: ერთ შოთ პურს თონიდან ამოვიღებ, ცოტას მოვატეხ და შევჭამო. მაგრამ გოგონამ ხელი პურისაკენ რომ გაიშვირა, მოხდა საკვირველი ამბავი: პური თონიდან გაქრა.

ნუციკო მეორე შოთს წაეტანა, ისიც გაქრა, მერე მესამე, მეოთხე... იმათ კვერი მიჰყვა, მოკლედ, თონე მთლად დაცარიელდა.

– რა მოხდა? – დადარდიანდა გოგონა, – ბებია

რომ მოვა, რა ვუთხრა?

ამ ფიქრებში რომ იყო, თონიდან ხმა მოესმა:

– რას უყურებ, ხომ ხედავ ვიწვი, ამიყვანე მაღლა!

ნუციკომ თონეში ჩაიჭყიტა, ხედავს ცომის თოჯინა-ბიჭი ფეხზე წამომდგარა და ნაცარს იყრევინება.

ჩააწოდა ნუციკომ კინჭოტი თოჯინა-ბიჭს და ვარცლის თავზე ამოიყვანა.

– წეღან ღობეზე შენ მომისროლე? – იკითხა თოჯინა-ბიჭმა.

– დიახ! – უპასუხა ნუციკომ.

– მომისროლე და დღეს მშიერი დარჩები. ვინც პურს აგდებს, ის არც მისი ჭამის ღირსია.

ნუციკო მიხვდა, რატომ გაქრა თონიდან შოთები და ცომის თოჯინა-ბიჭს შეეხვეწა:

– მაპატიე, თოჯინა-ბიჭო, ამისთანა რამეს აღარ ვიზამ!

– მე თოჯინა-ბიჭი კი არა, კუტიპურა ვარ!

– მაპატიე, კუტიპურა!

– არ გაპატიებ. ჯობს ისეთ ბავშვებთან ვიმეგობრო, ვინც პურს უფრთხილდება, – თქვა კუტიპურამ, ვარცლიდან ჩამოხტა, ეზო გადაირბინა, ჭიშკარში გაძვრა და სოფლის გზაზე ტყვიასავით გავარდა.

– მოიცა, კუტიპურა, მოიცა, სად გარბიხარ! – შესძახა ნუციკომ და უკან გამოუდგა.

გარბის კუტიპურა, მისდევს ნუციკო.

უცებ შუაგზაზე საიდანღაც მშიერი ლეკვი გამოხტა. კუტიპურას წინ გადაუდგა და შეჰყეფა:

– აფ, აფ, რა გემრიელი სუნი აგდის, უნდა შეგჭამოო.

– აბა, აბა ჩემს კუტიპურას ხელი არ დააკარო, თორემ მაგრად გაგცოცხავ! – დაუტატანა ნუციკომ.

ლეკვს შეეშინდა და გაიქცა.

კუტიპურა მაინც გარბის. ნუციკო მისდევს.

გავიდნენ სოფლის ბოლოს. დაინახა კუტიპურა კაჭკაჭმა, წინ დაუსკუპდა და შეჭმა მოუნდომა.

– სხვა რაღა გინდა! ჩემს კუტიპურას ნისკარტი არ მიაკარო, თორემ გაგცოცხავ! – დაემუქრა ნუციკო კაჭკაჭს და ისიც გაფრინდა.

კუტიპურა ისევ გარბის, გარბის. ნუციკო ფეხდაფეხ მიჰყვება. უნდა დაიჭიროს, ვერ დაუჭერია.

თავი ბუჩქნარიდან მინდორში ამოყვეს. ახლა მელაკუდა გადაეყარათ, ენით ტუჩები ხარბად მოილოკა და კუტიპურას შეჭმა და[illegible]

– პირსაც ვერ დააკარებ, ბუზის ტოლად მაინც ვერ მხედავ! – შესძახა ნუციკომ მელიას.

შეშინდა მელია და ბუჩქნარში მიიმალა.

კუტიპურამ თქვა: რაკი ამ პატარა გოგომ სამჯერ გადამარჩინა, გულკეთილი ყოფილა, მოდი, ისევ მასთან ვიმეგობრებო.

ორივე თონესთან დაბრუნდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გახარებული დარჩა ნუციკო.

თონე ისევ სავსე იყო თოქმა-თოქმა შოთებით. შოთებს შორის კი თავს იწონებდა ბადრი მთვარისოდენა დაბრაწული კვერი.



მხატვარი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

## მენაგვე ბროლა

ურიკა ჩამოატარა
ბროლამ ყეფით და
ღავღავით,
იხმო დიდი და
პატარა:
– ნაგავი მიმაქვს,
ნაგავი!
ფისომ თვალები
დაჭყიტა:
– დილაადრიან
რას ბღავის! –
და ბროლას
ღია ფანჯრიდან
გადმოაყარა
ნაგავი...
– ეეხ, რა ვქნა,
ქვეყნად ბევრია
სიკეთის დაუნახავი! –
ამოიოხრა ბროლიამ,
ნიჩბით ახვეტა
ნაგავი...
ჩაყარა ურიკაში და
გზას გაჰყვა
სვენებ-სვენებით...
იმ უბანს როცა
გასცილდა,
ღაწვებზე იგრძნო
ცრემლები.



## რა თქვა ანომ ვანოზე და ვანომ ანოზე

ანომა თქვა ვანოზე:
– შეუძლია ვანოსო,
ინატროს და ავდარში
მზე ამოიყვანოსო.
ვანომა თქვა: – რას ამბობს,
ეგ სად შემიძლიაო,
ან მზის ნატვრა რად მინდა,
ანო თვითონ მზეაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური საყმაწვილო პოეზიიდან



გადმოაქართულა დავით წერედიანმა

ეს დიდი სახლი ააგო ჯეკმა,

ეს – ცალად აგდია პატარა ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.

ეს კიდევ მიკია, თაგუნა პატარა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.



ეს კიდევ პუსია, პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს კიდევ პლუტოა, მურია პატარა,
რომელმაც დაბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.

ეს კიდევ მუგია, ფურდედო ჩვენი,
რომელმაც მურია გააგდო რქენით,
რომელმაც დაბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.



ეს კიდევ სუზია, გოგონა პატარა,
რომელმაც გაცოცხა ფურდედო ჩვენი,
რომელმაც მურია გააგდო რქენით,
რომელმაც დაბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.

F 6292



ეს კიდევ ბობია, პასტორის შვილი,
რომელმაც გოგონა გაწეწა დილით,
რომელმაც გაცოცხა ფურდედო ჩვენი,
რომელმაც მურია გააგდო რქენით,
რომელმაც დაბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კიდევ ტობია, პასტორი პატარა,
რომელმაც სასტიკად შერისხა შვილი,
რომელმაც გოგონა გაწეწა დილით,
რომელმაც გაცოცხა ფურდედო ჩვენი,
რომელმაც მურია გააგდო რქენით,
რომელმაც დაკბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.





და ბოლოს – მამალი, მამალთა მჯობი,
რომელმაც დაცეცხლა პასტორი ტობი,
რომელმაც სასტიკად შერისხა შვილი,
რომელმაც გოგონა გაწეწა დილით,
რომელმაც გაცოცხა ფურდედო ჩვენი,
რომელმაც მურია გააგდო რქენით,
რომელმაც დაკბინა პატარა კატა,
რომელმაც თაგუნას შეპყრობა სცადა,
რომელმაც კაკლებით გაავსო ჩექმა
დიდ სახლში, რომელიც ააგო ჯეკმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# დაეხმარეთ უფლისწულს

კუდიანმა დედაბერმა უფლისწულს ასწავლა, რომ მზეთუნახავი დატყვევებული ჰყავს ცხრათავიან დევს მიწისქვეშა სამი საკნიდან ერთ-ერთში. მეორე საკანში არის გველეშაპი, ხოლო მესამე ცარიელია... „ამასთან გაითვალისწინე – ეუბნება დედაბერი, – საკნების კარებზე მოთავსებული არც ერთი წარწერა არ არის სწორი".

უფლისწული მივიდა დევთან და მოსთხოვა მზეთუნახავის განთავისუფლება. დევმა უფლისწული ჩაიყვანა მიწისქვეშა საკნებთან, რომელთა კარებზე ეწერა:

საკანი I – აქ არის მზეთუნახავი

საკანი II – არ არის ცარიელი

საკანი III – აქ არის გველეშაპი

დევი ეუბნება: „გამოვუშვებ მზეთუნახავს, თუ სწორად მიჩვენებ იმ საკნის კარს, რომელშიაც ზის მზეთუნახავი. თუ მიუთითებ იმ საკნის კარზე, რომელშიაც ზის გველეშაპი – მაშინ გველეშაპი შეგჭამს, ხოლო თუ ცარიელი საკნის კარზე მიუთითებ, მაშინ თვითონ შენ ჩაგსვამ შიგ".

დაეხმარეთ უფლისწულს, ასწავლეთ, რომელ საკანში ზის მზეთუნახავი.

ნოდარ მაჭარაშვილი

## რა არის დედამიწა

დედამიწა უზარმაზარი მძიმე სფეროა, რომელიც კოსმოსურ სივრცეში მზის გარშემო მოძრაობს და თან თავისი წარმოსახვითი ღერძის ირგვლივ ბრუნავს. მაგრამ იგი ბურთივით მრგვალი კი არ არის, არამედ თავსა და ბოლოში ოდნავ შებრტყელებულია – ამ ადგილებს პოლუსები ჰქვია. წარმოიდგინეთ, თითქოს ყველაზე ცხელ ადგილას დედამიწას გარს უვლის წარმოსახვითი ხაზი – ეკვატორი. ეკვატორის ზემოთ დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროა, ქვემოთ – სამხრეთ ნახევარსფერო.

### ცნობები დედამიწის შესახებ



ეკვატორის სიგრძე 40000 კმ-ია. მას რომ მანქანით გაუყვეთ საათში 55 კილომეტრი სიჩქარით, მთელი თვე მოგიწევთ იმავე ადგილას მობრუნებამდე.



დედამიწის წონა დაახლოებით 6000 მილიონ მილიონ მილიონი ტონაა.



ყველაზე მაღალი ტემპერატურა (+57,7 გრადუსი (ცელსიუსით)) საჰარის უდაბნოში აღნუსხეს. ასეთ სიცხეში კვერცხი შეიძლება ქვიშაში შეიწვას.



ყველაზე დაბალი ტემპერატურა (-88,3 გრადუსი) აღრიცხეს ანტარქტიდაში.





მთელი ხმელეთის ერთი მესამედი უკავია ყველაზე ცხელ და გვალვიან ადგილებს – უდაბნოებს. აქ მთელი წლის განმავლობაში 25 სმ-ზე ნაკლები წვიმა მოდის.

ეკვატორის მახლობლად მთელი წლის მანძილზე ძალიან ცხელა და თითქმის ყოველდღე წვიმს. ეკვატორის გასწვრივ მდებარე ხმელეთს ტროპიკები ეწოდება.

ტროპიკებში ხშირი მწვანე ტყეებია, სადაც მცენარეთა და ცხოველთა ყველა არსებული სახეობის ნახევარზე მეტი ბინადრობს. ამ ტყეებს სახელად ჯუნგლები, ანდა ნოტიო ტროპიკული ტყეები.

დედამიწის ზედაპირის მხოლოდ ერთი მეოთხედი უკავია ხმელეთს. არსებობს ხმელეთის შვიდი დიდი მონაკვეთი, რომლებსაც მატერიკები ეწოდება. ხმელეთის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ ნახევარსფეროშია.

დედამიწის ზედაპირის თითქმის სამი მეოთხედი წყლით არის დაფარული – ოთხი დიდი ოკეანე ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ისე რომ შეიძლება ადამიანმა გემით ისე შემოუაროს დედამიწას ირგვლივ, რომ ხმელეთი ერთხელაც არ დაინახოს.

მაღალი მთა ისე მაღალია და იქ ისე ცივა, რომ ამ ადგილებში არც მცენარეები ხარობს, ვერც ცხოველები ძლებენ. ყველაზე მაღალი მთა დედამიწის ზურგზე არის ევერესტი, რომლის მწვერვალი 8848 მეტრ სიმაღლეზეა.

ხმელეთის დაახლოებით ერთი მეათედი მუდმივ ყინულით არის დაფარული. რაც უფრო დაშორებულია ეკვატორს, მით უფრო ცივა. ყველაზე ცივი ადგილები დედამიწაზე პოლუსებია.

### ჰაერი და ატმოსფერო

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამიწას გარშემო აკრავს დაახლოებით 500 კმ სისქის ჰაერის გარსი, რომელსაც ატმოსფერო ეწოდება. ატმოსფერო იცავს დედამიწას მზის მწველი სხივებისაგან. რომ არა ატმოსფერო, მზის სხივები გადაბუგავდნენ დედამიწის მცენარეულ საფარს, დაარღვევდნენ ყველაფერს ცოცხალს მიწაზე.



ჰაერი უხილავია, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ მას, როცა ქარი ქრის. ჰაერი შედგება სხვადასხვა აირისაგან, მაგალითად ჟანგბადისაგან, რომლითაც სუნთქავენ ადამიანები და ნახშირბადისაგან, რომელიც მცენარეებს სჭირდება.



რაც უფრო მაღლა ადიხართ ატმოსფეროში, მით ნაკლებია ჰაერი და სუნთქვა ჭირს. ამიტომ არის, რომ მთამსვლელებს მუდამ თან მიაქვთ ჟანგბადის ბალონები.



ამინდის მთელი ცვალებადობა დედამიწის ატმოსფეროს 10 კილომეტრიანი სისქის ფენაში ხდება. თვითმფრინავები, ჩვეულებრივ, ამ ზონის ზემოთ დაფრინავენ, დედამიწის ზედაპირიდან 13-22 კმ სიმაღლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ემზარ კვიტაიშვილი



### ბაქარი მეორე კლასშია

დადინჯდა, გამოსაცვლელი
აღარც კი დარჩა კიჭი,
ბოლო სუნთქვა და იმედი –
იზრდება ჩემი ბიჭი.
წერაც და კითხვაც ისწავლა,
იმდენი იცოდვილა,
დაიმსახურა, ღირსია –
გამოვუწერო „დილა“.

### ორი მეგობარი

ერთმა გოგომ აჩუქა
ბაქარს კნუტი „ალისა“,
აივანზე თამაშობს,
სახლი გაახალისა.
დასდევს ბიჭი ფეხდაფეხ
ჭრელს, აპრეხილკუდიანს,
უკვირთ ტოლებს, მეზობლებს
უცნაური კნუტია.
დასტრიალებს ბაქარი,
უყოფს რძესაც, ფაფასაც,
ისიც ეალერსება,
ცინდალმაც დააფასა.
დილით ერთად იღვიძებენ,
ერთ ამბავში არიან,
ნახო, იტყვი – ერთი ჭკუის
ორი მეგობარია.

# ზღაპარი ღორისა მისი ხუთი გოჭისა და მგლისა

(ხალხური)



ეროვნული ბიბლიოთეკა



## კოჭლამიჭამა

როცა თესვის დრო არის,
დახტის თვალკაკალია,
მკის დროს კი სხვის ყანაში
მომკა, რაც სამკალია,
წუწკი და წუნკალია
ეკალია . . . . .

## [illegible]

ტაში-ტუში,
ტაში-ტუში...
ჩამოვიდა
ბარში თუში!
ტაში-ტუში,
ტაში-ტუში,
აიტანა
ბარგი „ტუ“-ში,
კვლავ დაბრუნდა
მთაში თუში...
ტაში-ტუში,
ტაში-ტუში!



## [illegible]

ყვავილს აქვს თაფლის სურნელი,
ნაყოფს მიირთმევს მსურველი,
თეთრად ყვავის და შავად მწიფს,
სახელად ჰქვია . . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ათი თითი — უმარტივესი გამომთვლელი მანქანა

## ცხრაზე გამრავლება

ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება გავამრავლოთ ესა თუ ის რიცხვი 9-ზე ხელის თითების მეშვეობით.

ორივე ხელი დადეთ მაგიდაზე ერთმანეთის გვერდით და გაშალეთ ხელის თითები. პირველი თითი ერთს აღნიშნავდეს, მეორე — ორს, მესამე — სამს და ასე შემდეგ, მეათე — ათს. ვთქვათ, გვინდა ვიპოვოთ 9X5-ის ნამრავლი. ამისათვის საჭიროა მოვღუნოთ თითი, რომლის ნომერია „5“, მაშინ მოღუნული თითის მარცხნივ დარჩენილი თითების რაოდენობა გვიჩვენებს ნამრავლის ათეულების რაოდენობას, მარჯვნივ დარჩენილი თითების რაოდენობა კი — ნამრავლის ერთეულების რაოდენობას.

სავარჯიშო. ხელის თითების მეშვეობით იპოვეთ ნამრავლი:

| | | |
|---|---|---|
| 1X9 | 4X9 | 7X9 |
| 2X9 | 5X9 | 8X9 |
| 3X9 | 6X9 | 9X9 |



მხატვარი მიშიკო ამბოკაძე

მთავარი რედაქტორი ლოლო წიწნიაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაგუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურც.2,5 შეკვეთა №1700
ფასი სახელშეკრულებო
დაიბეჭდა გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14
ტელ: 93-41-30 93-10-32

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია მადლობას სწირავს ფირმა "მარის" პრეზიდენტს ბატონ ᲛᲘᲨᲐ ᲯᲝᲮᲘᲫᲔᲡ და ვიცე პრეზიდენტს ბატონ ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲙᲝᲑᲔᲨᲐᲕᲘᲫᲔᲡ, რომლებმაც ნომრის გამოსაცემი ხარჯები გაიღეს და მხატვარ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲑᲝᲙᲐᲫᲔᲡ, რომლის თაოსნობითაც უსასყიდლოდ გაფორმდა წინამდებარე ჟურნალი.



კოდალა ხეში მობინადრე ცხოველს აღვიძებს.

როგორ გგონიათ. რა ცხოველია?

იმისათვის, რომ სწორი პასუხი გაგვცეთ, გააფერადეთ №1 ღია ყავისფრად, №2 შავად, №3 მუქ ყავისფრად, №4 მწვანედ, №5 მუქ მწვანედ.

ᲙᲐᲮᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ